საქართველოს კანონი

# დეპარტამენტ " საქგაზის " გაუქმებისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ " საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს გაზის მეურნეობის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს სათბობ - ენერგეტიკის სამინისტროში შემავალი დეპარტამენტი – " საქგაზი".

2. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის მე-13 მუხლის ბოლო აბზაციდან ამოღებული იქნეს სიტყვა " საქგაზის".

3. ეს კანონის ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი
1996 წლის 18 ოქტომბერი